ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის შესახებ საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში (აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში) სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის

წ ლ ი უ რ ი ა ნ გ ა რ ი შ ი

(2020 წლის 10 დეკემბრიდან 2021 წლის 10 დეკემბრამდე)

ა) სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციაში 2020 წლის 10 დეკემბრიდან 2021 წლის 10 დეკემბრამდე პერიოდში საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით სულ შემოვიდა 6 (ექვსი) განცხადება. ყველა განცხადება დაკმაყოფილდა სრულად;

ბ) საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით შემოსული 6 (ექვსი) განცხადებიდან 4 (ოთხი) შემთხვევაში დაინტერესებული პირი იყო არასამთავრობო ორგანიზაცია; 1 (ერთი) შემთხვევაში - საქართველოს პარლამეტის წევრი, ხოლო 1 (ერთი) შემთხვევაში - პარტია (ერთიანი ნაციონალური მოძრაობა).

გ) საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით შემოსული 6 (ექვსი) განცხადებიდან ყველას შემთხვევაში ინფორმაციის გაცემისთვის საჭირო იყო ათდღიანი ვადა, რის თაობაზეც განმცხადებელს ეცნობა დაუყოვნელივ, წერილობით.

დ) საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის მოთხოვნით განცხადება არ შემოსულა.

ე) სახელმწიფო რწმუნებულის განკარგულებით განსაზღვრულია საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურე - სახელმწიფო რწმუნებულის აპარატის უფროსის მოადგილე აკაკი სარალიძე.

ვ) საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის ნაწილობრივ დაკმაყოფილების გადაწყვეტილების შემთხვევებში ადმინისტრაცია ეყრდნობოდა „საქართველოს კონსტიტუციას“, „საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსს“, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონს.

ზ) ადმინსიტრაციაში ფუნქციონირებს საქმისწარმოების ავტომატიზებული სისტემა (eDocument), შესაბამისად, აღნიშნულ პროგრამაში საჯარო მონაცემთა ბაზის შექმნა ხდება ავტომატურ რეჟიმში.

თ) სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის თანამშრომელთა მხრიდან საანგარიშო პერიოდში „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მე-3 თავის მოთხოვნათა დარღვევას და ამ საფუძვლით პასუხისმგებელ პირებზე დისციპლინური სახდელის დადებას ადგილი არ ჰქონია.

ი) ადმინისტრაციის მიერ საჯარო ინფორმაციის გაცემის ან გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილებების გასაჩივრებას ადგილი არ ჰქონია.

კ) სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციიში საანგარიშო პერიოდში საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით ხარჯების გაწევის აუცილებლობა არ წარმოშობილა.

დავით კუხალეიშვილი

სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე